წელიწადი მეორე. № 25. 29 ივნისი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ «ივერია» პირველს მკათათვიდამ ვიდრე მომავალ პირველს იანვრამდე. ფასი ნახევარ წლისა სამი მან. და ათი შაური. ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღება უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვემოთ დუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი შემდეგია: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія».

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს ოთხშაბათობით დილის ათი საათიდამ ვიდრე შუადღის ორ საათამდე.

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე: („ივერიის“ კორრესპონდენციები) კახეთიდამ, ქუთაისიდამ, ხონიდამ.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. მწირის მოთქმა, ლექსი, ნ. დ.—IV. მგზავრის შენიშვნები. (შემდეგი) ბავრელისა.—V. ურწმუნო დიეგო (ერთი-ხანა კარლისტების აჯანყებისა), თარგმანი გაბაშვილისა. —VI. სხვა და სხვა ამბები.

## საქართველოს მატიანე

**კახეთი.** («ივერიის» კორრესპ.). აქ, კახეთში, მაისის განმავლობაში და თიბათვის პირველის რიცხვიდამ ამ დრომდის კარგი ამინდები დგას—ნამდვილი კარგის მოსავლის ამინდი. ღამე წვიმს—დღე მზე! მაგრამ მეორეს მხრით ამისთანა ამინდი მავნებელი იყო მეტად ხალხის სიმრთელისათვის: დაღლილ-დაწყვეტილი დღიურის მუშაობით ჩვენი გლეხი, ღამე ცივდებოდა და ესალმებოდა საუკუნოდ ამ ტანჯულს წუთის სოფელს! ვითომ ბლომა და გულმოდგინე მკურნალები უშველიან თუ!.... სანთლით რომ ეძიოთ, სანთლით, თელავის მაზრაში ერთს „კარგს“ ფერშალსაც ვერ იპოვით, არამც თუ დოქტორს!.... ქერები თითქმის სრულებით დაიმკო და ამ ჟამად ახალი ქერები ისყიდება. პურებიც ზოგ ადგილას იმკება და გლეხის „ოროველა“ ამ ჟამად კახეთში გუგუნებს. მოსავალი ხომ ბევრია, მაგრამ მუშაა საშინლად ძვირი: დღეში ერთი მანეთი და რვა აბაზიც! ამას დაუმატეთ ღვინის სიძვირეც და მაშინ შეიტყობთ, თუ როგორ ძვირად დაუჯდება გლეხს ყანის მომკა და გალეწვა! გაღმა მხარში პური ექვსი აბაზია ეხლა. ვენახებს თხლად ასხია და ნაცარიც უზანს. თუ ამაზედ მეტად არ გაფუჭდა კიდევ მადლობა ღმერთს!.... ვაი ამ გომბორის (ლაგირის) ლაფებსა! ვისაც ის ტალახები არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს იმისთანა აუარებელს ტალახებს. ურემი ღერძამდის კი ჯდება და! მერე ისეთი მაგარი შეზავებული ტალახია, რომ თითო ურემს ზოგს ადგილას რვა უღელი (მთელი გუთნეული!) ძლივს ერევა. წვერიდამ დაწყებული ლაგირამდის სულ ისეთი ტალახია და შიგ ლაგირში ხომ უარესი! მიკვირს იქ მცხოვრებნი როგორ დაიარებიან და ან რატომ არაფერს საშუალებას არა ხმარობენ ტალახის მოსასპობლად?! შიგ ლაგირში ტარანტასი ჩაიფლა შუა დღისას და საღამომდის ძლივს გამოიტანეს ხარებით. საწყალი საქონელი იხოცება იმ ტალახებში. ჯერ მშრალიც რომ იყოს იმოდენა აღმართზე (7 ვერსტია), ისეც ძნელია საპალნის ატანა და ტალახებში ხომ წარმოუდგენელია! საწყალი კამბეჩები იმ აღმართის ტალახების დროს სულ ჩოქით მიდიან და სწყდებიან წელში. აბა ამ გვარ გზებზე მატარებელს საქონელს რა კეთილი უნდა დაეყაროს. ვისიც რიგია, ნეტა რატომ არ დააჩქარებს, რომ ის ჯოჯოხეთი გზა მალე გააკეთონ?!

ცოტა საქონელი დაიღუპა, რომ კიდევ ყურს არ იბერტყავენ!! ერთს ვიღაცა ნემეცს აუღია იჯარით და 5—7 კაცს ამუშავებს იმ გზის გასაკეთებლად; შვიდმა კაცმა რა უნდა ჰქმნას იმოტელა მთაზე?! მერე ისე ვიწროთ დაუწყვიათ გზა, რომ ერთის ურმის მეტი ჩერც კი გაივლის. გააკეთეთ მალე, ვისიც ჯერაა, ნუღა ჰღუპავთ ამოდენა საქონელს!....

მაგრამ, ვაიმე, ვაიმე, შიგ ქალაქებში რომ ყურმიგდებულები არიან, გომბორზე ვინ იფიქრებს?! აი, თუნდ ავიღოთ თელავი. თელავის ცხოვრება უწინდებურად მიმდინარეობს. აქაურებს არც იმისი დარდი აქვთ, თუ გომბორზე ცუდი გზებია და არც იმის, თუ მცირე აზიაში ჯარი სწყდება ავად-მოფობით და სახელმწიფოც გაჭირვებაშია მომეტებულის ხარჯით. ამათ გაცხარებული „პიკნიკები“ და ქაღალდის თამაშობა აქვთ-ყოველს ცისმარა დღეს. თუმცა ხანდისხან თელაველებიც მიუპყრობენ ხოლმე გონებას საკეთილო საქმეს, მაგრამ ცოტას ხნით: ცოტას ხნის შემდეგ, როგორც მავნებელს რასმეს, ისე გადასტყორცნიან კეთილს საქმეზე ფიქრს შორს, შორს!... „განვერდი, განვერდი, შენ ჩვენს დავთარში არა სწერიხარო!„ ამას წინად აქ ლაპარაკი ჩამოაგდეს, ფული შევსწიროთ ჩქარა მატარებელის გემების სასარგებლოდაო. იყაყანეს, იყაყანეს და ბოლოს ეს დასკვნა გამოიყვანეს: „მაინც ჩვენგან შეწირულს (ჯერ შესწირეთ და!) კუთვნილებისა მებრ არ მოახმარებენო, და სჯობს ისევ ჩვენ დაგვრჩეს ჩვენი ფულიო; დაიძახეს: „აფუუ!„ და ცხრა მთას იქით გადასტყორცნეს ამ საგანზე ფიქრი.... თელავის უმთავრეს ქუჩებს ამ ერთის წლის განმავლობაში ძლივს ეღირსა დაგვა. დაჰგავეს, მაგრამ სისუფთავისათვის კი არა—გუბერნატორისათვის უნდა დაენახვებინათ, რომ აი როგორ სუფთად ვინახავთ ჩვენს ქუჩებსაო. იმ მამაცხონებულს, ვიღაცას ტელეგრამმა გამოეგზავნა, რომ გუბერნატორი მოდისო. მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა ტელეგრამმის მიღების უმალ შეკრიბა პოლიციის ჩინოვნიკობა და უბრძანა, რომ ხუთს წუთში „ბულვარი“ დაეგავათ. დარბოდნენ თავგადაგლეჯილი „პოლიციონერები“ და ეძებდნენ დამგველებს. ბინდისას ისეთი მტვერი დააყენეს, რომ კაცს აღარ გაევლებოდა. გუბერნატორის მობრძანება ტყუილი გამოდგა.... ვინ იყო ის კურთხეულისშვილი, ტელეგრამმის გამომგზავნელი, ნეტავი ხშირად გამოგზავნოს ამ გვარი ტელეგრამმები, ეგების შეეჩვიონ აქაურები სისუფთავეს.... თელაველებს მოგონების ნიჭიცა აქვთ, მაგრამ თუ მოიგონებენ, ცუდს რასმეს, თორემ კეთილი ამათ როგორღაც არ ეთვისებათ. ამ ცოტას ხანში თელავში მეტად სასტიკი „ხუმრობა“ შემოიღეს: ცხენებს, რომლებიც ნაციხვარზე ჰსძოვენ, კუდზე მგალს ან სხვას მძიმე რასმეს მოაბამენ, რისგამოც ცხენი გიჟდება და სირბილში გადიჩეხება სადმე, თუ არ მიასწრეს თავის დროზე. ამ ცოტას ხნის შემდეგ ერთის საწყალის კაცის ცხენისათვის ეხუმრათ ამ გვარად. ცხენი გაგიჟებულიყო, კლდეზედ გადაჩეხილიყო, და იქავ სული გაეფთხო. საწყალმა პატრონმა ხან პოლიციას მიჰმართა, ხან მომრიგებელს მოსამართლეს, მაგრამ ყური არავინ ათხოვა ამ უბედურს.... ნუ თუ ამ შესამრწუნებელის მოვლენის მოსპობა პოლიციის საქმე არ არის? ნუ თუ არც ამას მიაქცევს პოლიცია ყურადღებას?! ბატონო, ესეც ხომ გზები და უვარგი ხორაგი არ არის!....

იმ ოცდა ათის თუმნიდგან, რომელიც ერთის სირაჯისაგან იყო შეწირული ბატონის წყაროს გასაკეთებლად, ოცდაექვსი თუმანიღა დარჩენილა, ოთხი თუმანი კი..... გადაუ....ყლაპიათ!

ამ ცოტას ხანში აქ ხელის-მოწერა გამართეს (თითო მანეთი) ბატონის წყაროს გასაკეთებლად და ორი-სამის დღის შემდეგ, ისევ შეაყენეს. ეხლა აღარც ფულებს აგროვებენ—აღარც წყაროს აკეთებენ.... რის შეეშინდათ?.... ნუ თუ მოგროვილი ფულიც გ-ა-და-ყლა-პეს!? მგონი აგრეც არის.

ათი თუმანი ერთის ბერძნისათვის მიუციათ ბეით, ეხლა ფული აღარა სჩანს. ბერძენი ამბობს: „თუ გაკეთების უმალ შემისრულებთ ფულს, გავაკეთებო, თუ არა—აღარც ათს თუმანს მოგცემთო“.... ამ კვირაში ხალხი შეიკრიბა და ამ საგანზე ლაპარაკი დაიწყო. ერთი დეპუტატი მეორეს ეუბნება: „რა უყავ შეკრებილი ფულიო“. — მეორე უპასუხებს: — ფული ხომ შენა გქონდაო!„—ამ ნაირად არის ჯერ-ჯერობით დაყენებული საქმე და არ ვიცი, როგორ დაბოლოვდება.... რა გააკეთა სანიტარულმა კომისიამ?—არაფერი! ამისა

მოქმედება ჯერ არაფერში არ ჰსჩანს. ერთის წევრის მოქმედება სჩანს მხოლოდ ცოტათი,—ეს გახლავთ თ. ა. გახვახოვი, რომელმანც ჩამოატარა ქაღალდი, რომლითაც ხელ-წერილი ჩამოართვა თელავის ვაჭრებს, რომელნიც ვალდებულნი გაჰხდა, რომ მათ იყიდონ ცუდის სუნის დამკარგველი პარაშოკები და მოაყარონ იმ ადგილებზედ, სადაც შენახული აქვთ თევზი, ყველი და სხვა ამ გვარი ხორაგეულობა. თ. ალექს. გახვახოვის მეტი, სანიტარულის კომმისიის წევრი, არა ვინა სჩანს, თუმცა კარგად ბლომად არიან, არიან მაგრამ ჰსძინავთ. მაშ ნანა, წევრო, წევრო, ნანინა, ნეტავ რამ დაგაძინა?!....

—თელავის ყასბებისთანა მხნეთ, რომ თელავის პოლიცია იქცეოდეს, კარგი იქნებოდა;—ლამის არის ყასბებმა პოლიცია ფეხ-ქვეშ გათელონ.... ქართული წარმოდგენაც გვეღირსა! 25-ს მაისს სოფ. იყალთოში წარმოადგინეს იმავე სოფლის შკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „თილისმით მოარშიყე“ და ერთი მოქმედება კომედიიდამ „ტოჩკა და ზაპეტაია“, თხზ. გ. ერისთვისა. წარმოდგენა საზოგადოდ უხეიროდ წავიდა. ამის მიზეზი გახლდათ: როლები არ იცოდნენ ხეირიანად; ასე რომ ერთი იტყოდა თავის როლს, რასაკვირველია სუფლიორის ჩამახებით, მიიხედავდა კარებისაკენ და ხელს უქნევდა შემდეგს: „შემოდი, მოდი, მოდიო!...“ ლაპარაკობდნენ მეტად ჩუმათ და ჩქარა. თუ გაიგეს რამე მსმენელებმა ისევ სუფლიორისაგან, რომელიც თითქმის ჰყვიროდა. აქტიორები და აქტრისები ერთმანეთს მეტად უგრძნობელად ელაპარაკებოდნენ. ერთის სიტყვით, ყველანი „რეშიზში ჩაჰსხდნენ“, გარდა კნეინა მაყაშვილისა, რომელმანც მართლა რომ კარგად წარმოადგინა, ასე რომ ამას შეუძლიან მშვენივრად აღასრულოს კომიკური როლები.... პატივცემული კნეინა თამაშობდა „ქვრივის მართას“ როლსა. იმედია რომ არც შემდეგში მოგვაკლებს პატივცემული კნეინა მანანა თავის ნიჭიერს თამაშობას. თუმცა წარმოდგენა ცუდად წასულა (წარმოდგენაზედ რაც არის იქ მყოფის ნაამბობია), მაგრამ მაინც მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელთაც განიზრახეს ეს საქმე კეთილის საქმის სასარგებლოდ და გამოიჩინეს ქართულის სცენის მოყვარეობა.... ღმერთმა ინებოს, რომ ქ. წარმოდგენები გახშირდნენ ჩვენს მხარეში!... თელავშიაც გვპირდებიან რამდენსამე ქართულს წარმოდგენასს, მაგრამ.... რა ვიცი.... ეჭვი მაქვს, როგორც სხვა აქაურს საზოგადო საქმეებზე.... მკითხველო! რადგანაც მეც დავიღალე და შენცა, რაც რამე დაგვრჩა საპასოდ, შემდეგისათვის გადავსდვათ. მაშ ზოგი შემდეგში....

ქართველი.

ქ. თელავ. 1878 წ. 20 თიბათვეს.

---

ქუთაისი *). წითელ ქაღალდზე დაბეჭდილმა განცხადებამ, რამოდენიმე დღის წინად 18 ივნისისა გვაუწყა, რომ ამ დღისთვის წარმოდგენილ იქნება პირველად სამ მოქმედებიანი კომედია თ. დ. ერისთვისა „ვევო, მინას და კამპანიაო.“ კეთილი და პატიოსანი. დანიშნულს დროს, 8½ საათზე მე უკვე ჩემს ადგილას ვიჯექ. მაგრამ წარმოდგენა ჯერ დაწყებული არ იყო. მიზეზი გახლდათ მაყურებლების სიმცირე როგორც იქნა 10-ს საათზე, როდესაც მაყურებელთ რიცხვი ცოტათი მოემატა, წარმოდგენა დაიწყო...

2 საათის შემდეგ წარმოდგენა გათავდა და სახლისკენ გავემართე სიბრალულით დატვირთული...დიახ, მებრალვის იგი, რომელიც ჰგონებს რომ „ვევო, მინას და კ—ას“ შეწებვით კომედია დავსწერეო, მებრალვის იგინი, ვინც სათეატრო ხელოვნების ცოდნას ჩემულობენ და ამისთანა კომედიას (sic!) კი წარმოსადგენად ირჩევენ, და უფრო მეცოდვება იგი საზოგადოება, რომლისთვისაც ამ რიგ ქარაფშუტა პიესას არდგენენ....

საგანი, რომელიც ჰქონია „ვევო, მინ. და კ—ის“ მთხზველს, ისე დამველებულია, იმდენჯერ არის აღებული და აღწერილი, ზოგჯერ ჩინებულადაც, რომ იმის განმეორება არა ღირდა, და თუ ღირდა იმ პირობით, რომ იგი ყოფილიყო ნიჭიერად და სცენის კარგად მცოდნით დაწერილი. ზემოხსენებული პიესა არც ერთისა და არც მეორე თვისებით არ გახლავთ შეთხზული....

---

*) ვასრულებ ჩვენი სცენის მოყვარეთ თხოვნას და აქვე ვაცხადებ, რომ წინეგანდელ პირველ წარმოდგენისგან შემოსავალი ნარიმშვილს არ მოხმარებია, როგორც ჩემგნითვე შეცდომით მოხსენებული იყო «ივერიის» № 18.

ასე ამ რიგი კომედია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სამ მოქმედებიანი გოდევილი, რომლის მოქმედებანი თითქმის სრულიად ერთი მეორესთან არ კავშირდებიან, რეჟისსორის უყოლგულობის გამო წარმოდგენილ იქმნა ჩვენს სცენაზე. უმთავრეს როლებს გეო და მინასისას, ასრულებდნენ ჩვენი სცენის უკეთესნი მოთამაშენი— ბარხუდარიანცი და კ. მესხი, რომელთაც სრულიად უნაკლულოდ აღასრულეს თავიანთი როლები და ამ გვარად დაიხსნეს ეს კომედია უკიდურესს fiasco-საგან.

ლაზათიანად არდგენდა მაკაკას როლს მ. ჩიკვაიძისა.

ე. ნიჟარაძისგან არ მოველოდით იმისთანა ადგილის როლის წახდენას, როგორიც მაელენეს კაკასქალიშვილის როლი იყო. ეს მანდილოსანი პირველად არ არის სცენაზე რომ გამოდის და არც პირველად ახდენს თავის თამაშს უდროვო-დროს სიცილით...რას მივაწეროთ ეგ? მეტის-მეტს სითამამეს თუ....

ქექეს როლის აღმასრულებელი ლაპარაკობდა უგრძნობელად, გაუგებარად და დაუსვენებლივ, სწორედ ისე, როგორც ინსტიტუტში მოსწავლენი გაზეპირებულ გაკვეთილებს უგებენ მასწავლებელს. მაგრამ ამით არ შეგვიძლიან იმის სათეატრო ნიჭზე რაიმე დასკვნა გამოვიყვანოთ, რადგანაც იგი 18-ს პირველად თამაშობდა და პირველის თამაშობით აქტიორის ნიჭის დაფასება შეუძლებელია.

ი—ა ი—იძე.

P. S. თუთხმეტს ივლისს წარმოდგენილ იქმნება ახალი 5—მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებითგან—„თამარ ბატონიშვილი," ამავე სახელის რომანითგან გრ. რჩეულიშვილისა გადმოკეთებული უფ. კ. მესხისაგან. როლები უკვე დარიგებულია. შალვას როლს თვით, უფ. მესხი აასრულებს. საზოგადოებას იმედი აქვს რომ ამ დრამას წარმოდგენა ძლიერ კარგად წავა.

---

ხონი, („ივერ." კორრესპ.). უბედური ხონი!! იყო დრო, როცა ზოგიერთი ხონელები ცდილობდნენ, რომ ხონი ქალაქად შერაცხულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა (უმეტესობის სასიხარულოდ). ქალაქს სხვა შინაგანი და გარეგანი სიწმინდე უნდაო, ამბობდნენ ზოგნი, ჩვენ მისი თავი არა გვაქვსო... ეგება მართლებიც იყვნენ ამის მთქმელები. ქალების სასწავლებლისთვის ხონმა ქვითკირის მშვენიერი ერთ სართულიანი სახლი ააშენა,—წელს ეს სახლი დაეწვა ხონს. სწავლა მაინც არ ყოფილა შიგ, მაგრამ.....ვაჟების ორ-კლასიანი სასწავლებელი აქვს ხონს, მაგრამ ამ სასწავლებლის საქმეც უკუღმართად მიდის... უბედობა, მეტი იქნება?! მდინარე წყალი არა აქვს ხონს, არც წყარო მოიმებნება ახლო-მახლო. დავბერდი მას აქეთ, რაც ხონელებს ლაპარაკი აქვთ მდ. ცხენისწყლიდგან ხონში წყლის გამოყვანაზე, მაგრამ ჯერაც ვერ მოუხერხებიათ ეს კეთილი საქმე... ხერხიანი ხონელები მარტო კერძო საქმეებში ხომ არ ყოფილან მოხერხებულები და გამბედავები? საზოგადო საქმეზე, ხედავთ, როგორ დაჩლუნგდნენ?! ყურსაც აღარ ანძრევენ... მაგრამ გასამტყუნარნი არ არიან: ახლა ისეთი დრო წამოადგა ხონელებს, რომ მათ საშინაოთ აღარ სცალიანთ. მაგათი გულის ტკივილი ეხლა ის არის, რომ მაგათ გარე არა-ვინ აიღოს იჯარით სურსათის გადაზიდვ-გადმოზიდვა და სხვა ამ გვარი საქმე... ფულის შეძენა კარგია, მაგრამ ფულებთან რომ საოფლეც მოჰყვავთ—ყარსიდგან ჩალვადრებსა, ეს კი ვერაფერია. ბედი არ გვქონია და რა გაეწყობა?!

გასუფთავების მაგიერ ხონს სიმყრალე ემატება, ვიდაც აბრეშუმის ჭიის პარკების მეიდგელები აგვიჩნდა ხონში და ისე აამყრალეს ხონის ვითომ ქუჩები, რომ მიუჩვეველ კაცს სული შეუღონდება. ეს გაჭრები ცხელის ორთქლით პეპელათ გამოსასვლელ ჭიებს ჰხოცვენ პარკებში. აქაურმა პოლიციამაც კი მიაქცია ამ საქმეს ყურადღება. ეს სიმყრალეც უბედობის ნიშანია. ხონს აფთიაქი არა აქვს, საკუთარი ექიმი არა ჰყავს—ერთი ფერშალია და ყველაფერი ის არის. წამალს ერთს ორის ფასად ჰყიდის და ფეხის ქირას ერთს ორად იღებს. ესეც ჩვენი უბედობის ნიშანი. შემდეგში შეგატყობინებთ თუ რა ბედი გვეწევა.

სოფლელი.

19 ივლის 1878 წ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

რაც მოსალოდნელი იყო სრულდება კიდეც: ოსმალეთის უფლება ევროპაში უნდა გაქარწყლდეს, როგორც შარშანდელი თოვლი. ამას ცხადად გვიმტკიცებს კონგრესის მოღვაწეობა, რამდენადაც იგი ჯერ-ჯერობით ცნობაში არის მოყვანილი. მართალია რუსეთის სურვილს და მიდრეკილებას, სან-სტეფანოს მორიგებით აღიარებულს პირობებს დიდი დაბრკოლება და საზღვარი ედება, მაგრამ, რაც შეეხება თვით ოსმალეთს, მის მდგომარეობას და არსებობას, კონგრესიც არა ნაკლებ ავ-დღეს უქადის ვიდრე რუსთ-ოსმალოს მორიგების პირობები. მართლა რაღა შერჩება ოსმალეთს ევროპაში? თუმცა სრული თავისუფლება ეძლევა მხოლოდ ჩრდილოეთის ბოლგარიას (დუნაისა და ბალკანიის მთების შუა), მაგრამ სამხრეთ ბოლგარიაშიაც (რომელსაც ეწოდება აღმოსავლეთის რუმელია) ოსმალეთის მფლობელობას და უფლებას შერჩება მხოლოდ სახელი. ჰერცეგოვინას და ბოსნიას დაიჭერს ავსტრი-ვენგრიის ჯარი. თუმცა ავსტრიის ჯარი შევა ამ ადგილებში დროებით და მხოლოდ იმ განზრახვითაო, რომ ბოსნიიდამ ავსტრიაში გადმოსახლებულნი ისევ თავ-თავის ადგილას დაბინაოს, მაგრამ საეჭვო კია, რომ ავსტრი-ვენგრიას მხოლოდ ეს უანგარო განზრახვა ჰქონდეს. ოსმალეთის ბერძნულ პროვინციებთა შორის, ზოგი ეძლევა საბერძნეთს, ზოგში კი დამყარდება იმ გვარივე თვით არსებობა, როგორიც მაგ. რუმელიაში. ამ გვარად ოსმალეთს რჩება ევროპაში მხოლოდ სტამბოლი და მისი ახლო-მახლო ადგილები. რასაკვირველია დასაჩანი აქ არა არის რა, თუ ახალი მოწყობილობა უფრო კეთილს და ბედნიერს სიცოცხლეს მოუტანს ხალხს, ვიდრე ოსმალეთის მფლობელობა. რა გვარ ცხოვრებას მოიტანს ეს მოწყობილება—ჯერ ძნელი სათქმელია, რადგანაც ამ მომავალს მოწყობილობაზედ კონგრესს არ ჰქონია დაწვრილებით სჯა. ევროპას რომ მართო თვით ხალხის ბედი და ცხოვრება აწუხებდეს და მხოლოდ იმ ზრუნვაში იყოს, აგები როგორმე ამა და ამ ხალხს ნამდვილი სიკეთე მოუტანოვო, რასაკვირველია ყველაზედ უწინარეს თვით ამ ხალხისათვის უნდა მიენდო საკუთარის ბედის გაკეთება; მაგრამ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ წუთის სოფელში საქმეთა მიმდინარეობას ჯერ-ჯერობით უფრო სხვა ჩარხი ატრიალებს, ვიდრე საკუთარი სურვილი და ნდომა, თავისუფალი მიდრეკილება. ბოლგარიელთა შესახებ ერთი გარემოებაა ღირს შესანიშნავი. მართალია მათი მომავალი მოწყობილობა საზოგადოდ დაადგება იმ გზას, რომელსაც გაუკაფავს მათ ევროპა, მაგრამ, მაინც რაც უნდა იყოს, ერთი ხმა მაინც ამოეღოთ და მით თვისი სურვილი აღიარებინათ. მართალია გამარჯვებს ჯერ-ჯერობით უპირია მეთქი სხვა ჩარხს, მაგრამ თვით ცხოვრება არის განუწყვეტელი ბრძოლა ამ ჩარხისა და თავისუფალის მიდრეკილების შორის. ამიტომ უყვარს ხალხს, ვიდრე ცოცხალა, უღვივის იმედი თვისის წადილის აღსრულებისა, და აღიარებს კიდეც ამ წადილს, როდესაც ეძლევა ჯეროვანი შემთხვევა. ბოლგარიელნი კი,—თავი და თავი მიზეზი აწინდელის აყალ-მაყალისა,—გაჩუმებულნი არიან და მით თითქო ამბობენ, არაფერი არ გვინდაო. ბერძნებისა და რუმინიელთა მაგალითსაც კი არ წაუხალისებიათ: ბოლგარიელები ამბობენ—რაკი მოსარჩლე გვყავსო, ჩვენ რაღა გვეთქმისო. ესეც შესაძლებელია.

ერთი ხასიათი დაეტყო აშკარად კონგრესის მოღვაწეობას: ყველა სახელმწიფონი ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები არგონ საკუთრივ რუსეთს და ფეხი მოსდონ მის გავლენას ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ. ევროპა გამზადებულია თითქმის ყოველი სურვილი აუსრულოს მცხოვრებთ, ოღონდ კი რუსეთს შესანიშნავი რამ არა ერგოს რაო. თუ უკანასკნელის ომიანობის დროშაზედ წარწერილი იყო ჩაგრულთა დაცვა და განთავისუფლება, მოხსენებული გარემოება რუსეთისათვის სულ ერთი უნდა იყოს. ოღონდ კი ჩაგრულთა ბედი გაკეთდეს და აბა სხვა რა საფიქრებელია. ეს ასეა, მაგრამ ეს გარემოება მაინც აფიქრებინებს კაცს,—თუ რა მიზეზია ამ გვარის მტრობისა ევროპის მიერ.

ეს უსიყვარულობა და ეჭვი რუსეთისადმი გამოჩნდა სხვათაშორის ბოლგარიის განსაზღვრებაში. ევროპამ საჭიროდ დაინახა იმისთანა მტკიცე საზღვრის დადგენა; რომელსაც ადვილად ვერ გადივლის რუსეთი, თუ მოინდომა. ამიტომ ჩრდილოეთის ბოლგარიის სამხრეთ საზღვრად ევროპამ მოაქცია ბალკანიის მთები, რომელთა გამაგრებულს ადგილებში ოსმალოს ჯარი უნდა იმყოფებოდეს. რაც შეეხება ომის ხარჯის ფულს, ერთი ნაწილი როგორც მოგეხსენებათ, რუსეთს მიწით უნდა უზღოს, ე. ი. ამ ფულის მაგივრად რუსეთს ოსმალეთის სხვა და

სხვა ადგილები უნდა დაეპყრა. ამ ფულის შესახებ უპირატესობა ეძლევა ოსმალეთის კრედიტორებს (ე. ი. ვისიც ფული მართებს ოსმალეთს). ბათუმი უნდა გახდეს თავისუფალ ნავთ-საყუდლად და მიეცეს რუსეთს, იმ პირობით, რომ არასოდეს გამაგრებულ არ უნდა იქნეს რუსეთის მიერ.

კონგრესის შესახებ ერთი გარემოება სუფევს, რომელიც ცოტად თუ ბევრად ეჭვსა სდებს მისის შედეგის სიმკვიდრეს. რასა იქს ევროპა, ოსმალეთმა რომ უარ ჰყოს ყოველი მისი განკარგულება, იმ იმედით, რომ სახელმწიფონი თანახმანი არიანო ვიდრე საქმე ომიანობამდე არ არის მისვარდნილიო და ვიდრე მარტო ლაპარაკში არიანო? ერთის სიტყვით რას იქმონენ სახელმწიფონი, კონგრესს რომ იმ გვარივე ბედი მოჰყვეს, როგორიც დაერთვა სტამბოლის კონფერენციას? ხმა დავარდა, ვითომ კონგრესი გირაოს ან რაიმე თამასუქს მოითხოვსო დასარწმუნებლად, რომ კონგრესის გარდაწყვეტილება აღსრულებულ იქმნება ოსმალეთის მიერ. მაგრამ, ხმა ხმად დარჩა და ამ თამასუქზედ აღარა ისმის რა. მართლა და ვინ ივისრებს კონგრესის მიერ დადგენილის განაჩენის აღსრულებაში მოყვანას? ოსმალეთმა რომ სთქვას, მაგალითად, არც შუმლას დავცლიო, არც ბათუმსაო, და თუ გნებავსთ მობძანდით და წამართვითო, ვინ დაატანს ძალას და ვინ წაართმევს? გარდა ამისა, ვთქვათ, ივისრა რომელიმე სახელმწიფომ და წაართვა ოსმალეთს, რაც წასართმევია. ეს სახელმწიფო, რასაკვირველია, მუქთად მსხვერპლის მოტანას არ მოინდომებს და ვიდრე მაგიერი ჯილდო არ მიეცემა, ხელიდგან არ გაუშვებს, რასაც ერთხელ ჩაიგდებს. ახლა ამისათვის იქმნება საჭირო კონგრესის შეკრება. ერთის სიტყვით თვით კონგრესი და მისი ჯერ ჯერობითი მოღვაწეობა ძალიან მცირე იმედს გვაძლევს საქმის მალე და მშვიდობიანად გათავებისას. რასაკვირველია კონგრესის მოღვაწენი იმდენად ჭკვიანნი და გამოქნილნი არიან, რომ ყველა ეს გარემოება კარგად ესმით, მაგრამ საქმე მარტო ჭკუაში და გამოქნილებაში არ არის; იგი სუფევს თვით საგნის არსებითს სიძნელეში. არც სტამბოლის კონფერენციის წევრნი იყვნენ უჭკუონი და გამოუცდელნი, მაგრამ ვერა გაარიგეს რა კი. მართალია მაშინ ოსმალეთი ჯერ დამარცხებული არ იყო და თავისის თავის იმედი ჰქონდა. მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ ოსმალეთს უფრო მომეტებულად ევროპიის სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობის იმედი ჰქონდა. ახლა თუმც ოსმალეთი დამარცხებულია, მაგრამ კარგად იცის, რომ სან-სტეფანოს შერიგება, რომელიც ამ დამარცხებას მოჰყვა, გაუქმებულ იქმნება ევროპის მიერ; მეორის მხრით იცის, რომ ყოველ მას, რაც ამ შერიგების პირობათა მაგივრად იქმნება დადგენილი იმ გვარივე შედეგი მოელის, როგორც სტამბოლის კონფერენციას. გარდა ამისა, არც ის არის შეუძლებელი, რომ ოსმალეთმა ირჩიოს სახელოვანი სიკვდილი, ვიდრე თავლაფდასხმული სიცოცხლე. აბა როგორ იხმაროს კაცმა უკანასკნელი ღონისძიება და ხავს მაინც არ წაეჭიდოს, როდესაც მის ისევ ცოცხალ თავს დაჰხვევიან და გულმშვიდათ იყოფენ მის მემკვიდრეობას? მაშ ტყუილ-უბრალოდ ჯაფას რად სწევს კონგრესიო და დროს რად ჰკარგავსო, იტყვის მკითხველი? კონგრესს მოჰყვება ერთი ნამდვილი შედეგი — სან-სტეფანოს მორიგების პირობათა გაუქმება. ევროპისა და ოსმალეთისათვის ყველაზედ უწინარეს ეს არის საჭირო.

— ავი დღე დაუდგათ თავისუფლობისა და წარმატების მოღვაწეთ გერმანიაში. მთავრობა მოჰყოლია ყოველგვარ დევნას და ცხოვრების შევიწროებას — აგები როგორმე ახალ რეიხსტაღში უმრავლესობა დავიმკვიდროვო. ეს მისდგომია იმ შინაგან პოლიტიკას, რომელსაც ერთ დროს ნაპოლეონ მესამე აწარმოვებდა საფრანგეთში. მთავრობა წამოაყენებს თავის საკუთარს კანდიდატებს და ეტყვის ხალხს — ვინც ამათ არ მისცემს კენჭს ჩემი მტერი და მოწინააღმდეგეაო. ამისათვის, რა საკვირველია, ადგილობრივი მოხელენი ჯეროვან ბძანებას გამოსცემენ თვისთა ხელქვეითთათვის, რომელნიც თავისის მხრით ხალხს დააწვებიან და ეტყვიან — თუ ამა და ამ კანდიდატს არ მიეცით კენჭიო, ავი დღე დაგადგებათო. მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ მთავრობას ბევრი მომხრე მოემატოს მომავალ რეიხსტაღში. მართალია, გერმანიის ლიბერალებს, როგორც უწინ იყო მოხსენებული, ვერაფერი სიყვარული უღვივით სოციალ-დემოკრატთადმი; მართალია ლიბერალების უმთავრესი ხასიათი, მეტადრე გერმანიაში, არის მშიშარაობა და კუდაბზიკობა, მაგრამ მაინც მთავრობას იმდენად უკან დაუწევია და იმისთანა გზას დასდგომია, რომ ამ ლიბერალებსაც კი ეშინიანთ რაცა გვაქვს ისიც არ წაგვართვანო, რაც შეეხება თვით იმ მოვლენას,

რომლის ძირიანი მოსპობა წარწერილია ამ ჟამად მთავრობის დროშაზე, ამაშიაც ეჭვი უნდა ვიქონიოთ—მოიტანს მთავრობის აწინდელი პოლიტიკა მისთვის სანატრელს შედეგს თუ არა. დევნა და რისხვა ახალი ამბავი არ არის ევროპაში სხვა და სხვა მოღვაწეთათვის. ამ გვარ ზომიერებას ყოველთვის უკუღმა შედეგი მოსდევს. რამდენად უფრო აღკრძალულია და დევნული რომელიმე ქადაგება და მიმართულება, იმდენად უფრო ვრცელდება იგი და უფრო ღრმათ უშვებს ფესვებს; გარდა ამისა—იგი, უწინ პირახდილი და აშკარა, დევნის შემდეგ მალვით და საიდუმლოებით გარემოცული ტრიალებს და იდგამს ფესვს. ეს უკანასკნელი გარემოება პირ-და-პირ არის აღიარებული სოციალ-დემოკრატთა საარჩევანო მანიფესტში (ეპისტოლეში), რომელიც მიმართეს მათ თვისთა ამხანაგთადმი: „30 მკათათვისა (როდესაც უნდა მოხდეს არჩევანი), ამბობს მანიფესტი, იქნება ეპოქა გერმანიის ხალხის ისტორიაში. ეცადეთ, რომ ეს დღე იყოს დღე გამარჯვებისა და არა დღე სირცხვილისა. იმეცადინეთ ამომრჩეველთა და ხალხის წინაშე, რათა წინააღუდგნენ საერთოდ, როგორც ერთი ადამიანი, იმ მიდრეკილებას, მთავრობისას რომელიც უქადის ჩვენდა ნივთიერ სიგლახაკეს საპოლიტიკო სიგლახაკესაც. ამოქმედეთ აწმყო ბრძოლა ჩვენ მტერთა სამარცხვინოდ და სოციალ-დემოკრატიის სასახელოდ. ამხანაგებო, ვიცით თქვენი ერთგულობა!»

ახლა დაუგდეთ ყური კლერიკალებს, რომელნიც თვის მანიფესტში ამბობენ შემდეგს: «ჩვენ ვთხოულობთ ხელახლად ეკკლესიის თავისუფლებას და იმ კანონების გაქარწყლებას, რომელნიც მავნებელნი არიან ეკკლესიის უფლებათათვის. თუ აწმყო კანონები საკმაოდ არ იფარავენ სახელმწიფოის მოთავის სიცოცხლეს და არ აბრკოლებენ უღვთო და უზნეო ქადაგების გავრცელებას, ჩვენ აღვძრავთ კითხვას: კანონების შეცვლა საჭირო არის თუ არა. მაგრამ ჩვენ უსათუოდ დავიცვავთ ხალხის აუცილებელს უფლებას, მეტადრე იმ უფლებას, რომელიც მინიჭებულია ხალხისათვის სხვა და სხვა სახელმწიფოთა (გერმანიისა) კონსტიტუციით. ჩვენ ვეცდებით, რომ აწინდელი წყობა გერმანიისა (სახელმწიფოთა ურთიერთობა) დაცულ იქმნეს; ჩვენ არ დავაკუთნებთ გერმანიის მთავრობას რკინის გზებს *).

«ჩვენის აზრით ხალხის ეკონომიური მდგომარეობა მაშინ გაკეთდება, როდესაც შემცირდება იმპერიის გასავალი, მეტადრე ხარჯი მხედრობისათვის. ჩვენ არამც თუ არ გვინდა რომ ხალხს ხარჯი (გარდასახადი) მოემატოს, არამედ გვსურს ამ ხარჯს რაც შეიძლება მეტი მოაკლდეს.

«ხალხის კეთილ-მდგომარეობამ უნდა იმატოს და იმასათვის ჯეროვანის ცვლილებით და კანონით დაკმაყოფილებულ უნდა იქმნენ მუშა-კაცთა მოთხოვნილებანი.»

ეს მანიფესტი, რომელიც ცხადათ გიჩვენებთ კლერიკალების ოსტატობას, მიმართულია ერთის მხრით ხალხისადმი, მეორეს მხრით იმ დასისადმი, რომელიც ემატება გერმანიის ერთობას. ერთსაც უსომს თავზედ ხელს, მეორესაც. ოსტატობაც ეს არის. საეჭვო კია, რომ კლერიკალებმა მრავალი მომხრე დაიყოლიონ; აბა ვის გაუგონია კლერიკალები და მუშა-ხალხთა მოთხოვნილებანი.

ამაზედ და საზოგადოთ დასთა ბრძოლაზედ გერმანიაში შემდეგ მოგახსენებთ რაც შეიძლება დაწვრილებით, მით უფრო, რომ აწინდელი მოძრაობა ღირს შესანიშნავია არამც თუ მარტო თვით გერმანიისათვის, არამედ სხვა სახელმწიფოთათვისაც.

---

## მწირის მოთქმა.

მარტო ვარ, მაგრამ ვის შევბრალდები,
ჩემს-მწირის მოთქმას ვინ უგდებს ყურსა?
მარტო რომ მომკვდეთ შუა გზებზედ ბი,
ვინ დამარხავს ჩემ სამსახურსა?!....
ვის მოსურდება ეკალში რბენა,
რომ გამომყვეს და იკაწროს ტანი?
ვის იამება გმობა და წყენა.
ქვეყნის მუქარა, ჯოგის ყაყანი?

---

*) მკითხველს ეხსომება, რომ ბისმარკის მიერ წამოყენებული იყო გერმანიის კერძო სახელმწიფოთა რკინის გზების გარდაცემა გერმანიის საერთო მთავრობისათვის, მაგრამ მოზავეთა საბჭომ უკუაგდო ეს წინადადება და ამით ერთი ხნითაც გამოაცალა გერმანიის ერთობას.

უამხანაგო ტანჯული სული
ვის შევკედლო, ვის წინ გავფინო;
ვის ვაცოდინო შემთვისი გული,
რომ გჳყუტუდე და არ შევაშინო?
ამ სიმარტოვემ, უთვისტომობამ
გამახმო, მერე სულ გამაცივა
და გათბობისთვის ცეცხლის მოხმობამ
უფრო სულ დამწვა, და დამატკივა.
გარშემო ყინვა; შიგ მწვავი ალი
ორსავ მხრით მარღვევს, მზრავს და მინელებს;
უნაღვლო ხალხში დამირბის თვალი,
მაგრამ მაში ჴელს არ ვინ მაშველებს.
„რატომ?“ იკითხავს მსაჯული ჭკუა
მართალისა და ლიტონის ჰაზრით; —
მიტომ რომ ხალხი ტანჯვაზედ ყრუა
და ჩვეულების შეკრულა ბაწრით.

—

კეთილი გული და სამღვთო გრძნობა
უნდილს აღზრდაში უმაწვილს უხდება;
სიყვარული და სამართლის ცნობა
სიყრმის უკუღმართს წვრთაში უკვდება.
უმაწვილი, წრფელი, ნათელი სული
ადრე მოიწყლვის უსამართლობით;
რაც უნდა ჰსწყინდეს სხვისი ბრმა ჰსჯული,
უნდა მიიღოს მან ცრუ მადლობით.
შურის დაღლაკნილს გზაზე მკრომაში
იმას გაჰხედნის მეზობლის შური;
ღალატის, მკირის ბილწ-მოთხრობაში
მალე გაართობს სახლში მურმური!
მალე ასწავლის დაუნდობლობას
თვით მაზედ უნდო მისი აღმზრდელი,
თანვე შეაჩვევს ზვერვას, მთხრობლობას
ჭორის და ეჭვის მყოლი მშობელი.
სიტყვის და ჰაზრის უთავბოლობა
აურევს ქალწულს მოზარდსა ტვინსა;
ხან ნამცნების ქმნა, ხან უქმნელობა
ნებას დაუმტვრევს და მისცემს ჟინსა.
ენის დახელის უსაგნოდ ქნევა,
ავზე და კარგზე უქმი ტარტარი,
წყევლის და ლოცვის უფასო ბნევა,
რისხვის, ალერსის ბდღვირი და ქარი,
მოტყუება და მწარე აგდება,
ქიშპობით ღვრემა, პირდაპირობა,
გულ-პაწი დაგვა, ენის წაგდება,
შხამი დაცინვა და ცრუ პირობა,—
ესენი, ყველა ეს კავშირები
ზრდიან ამ სოფლის სამღვთო სტუმარსა,
და, რომ მოხუთვენ მას ეს ჭირები
დაადუმებენ, დაჰსცემენ ზარსა.
რაც შეეზრდება, შეეგვებება
სისხლსა და ხორცში თბედ გადექცევა,
იმას ის უყვარს და ექადება
თვარა კი არ ჰსმაგს,—რად გადეჩვევა?
რად გადეჩვევა?..... ვერც გადეჩვევა!
რა შეუძლია ღონე შეჭმულსა:
სიყრმიდამ რამაც ის დაატყვევა,
მას ვერ წაუვა ფესვებ-გადგმულსა.

—

ეს დაჩაგრული შობიდამ კაცი
ოდონდაც მართლა, მეტად მფრთხალია;
ვერ შეიქმნება უცებ მამაცი,
რომ ჰქმნას, რაც რამე სასურველია.
ის ვერ გაბედავს თამამად შებმას,
რომ ერთი თოკი მაინც გასწყვიტოს;
ის შეჰსწყობია მონურსა თრევას
და თავის-თავი სიდამ გაჰსჭვრიტოს?
იმას წინ უძღვის რეგვენთა ხროვა,
მისს წესს ის ბრძოლას როგორ შეჰკადრებს?
და ვინც მუძუთგან მონება ჰსწოვა,
ის სხვას ვისმეზე რა გვარ ისარდრებს?...
იმას საომრად აქვს მხოლოდ ფახი,
ეს არის მისი პირველი ძალა,
რომ შეაშინოს უგონო ხალხი,
რომელიც მისებრ კვირტში ჩამპალა.
ვის თანა-უგრძნობს კეთილს საგანსა
(ან კი თან-გრძნობა მისი რა არი)?
ნიადაგ ბრიყვებს რომ უხმობს ბანსა,
ჭკუის პასუხი მასში არ არი?
არ არი წმინდა გრძნობის ნაცვალი
მის მქისე გულში ხმა რომ გამოგცეს;
მას გზათ წინ უძევს უგნებთა კვალი,
და, ეშინია იმას რომ მოჰსცდეს,

ჰრცხვენია, რომ ჰქმნას არა ჩვეული,
რაც მას კაცობის ბუნებით ხურდეს;
ის ამ ცრუ სირცხვილს მარად ჩვეული
ვერ ჰსძლევს, თუნდ გული წადილით ხურდეს,
თუ რასმეს ჰხედავს ჩუმად, ქურდულად —
ვინმემ არ უგრძნოს და არ დასძრახოს,
თვარა თუნდ გრძნობდეს სიკეთეს სრულად,
მაინც ვერ იზამს,— უნდა დაჰმარხოს.

—

ამ ხალხში — ამ დიდს მონათ ლაშქარში
მარტო ყოფნისთვის არ უნდა ვსწუხდე:
მაგრამ მამულში, ძმების კრებაში
უძმო, ობოლი,— ვით არ ავდუღდე?
მოძმისგან შიში, მიუნდობლობა,
მიუკარობა ვით არ ვიმტკივნო;
უბედურების მიუხდომლობა
ისევ მათშივე ვით შევიჩჩინო.
მარტოდ-მარტო ვარ სულ ერთად-ერთი
ჩემიანებში საბრალო მწირი;
დავალ ყარიბად,— ხომ მხედავს ღმერთი —
ერთხელ ვერ გავხსენ მოძმის წინ პირი!
მე საბრალო ვარ, ირგვლივ ობოლი,
მაგრამ არ მახსოვს მე ჩემი ბედი;
მე დღეს მიმწარებს ერის სვე მრჩოლი
და მწამს კი მხოლოდ ქმნადის იმედი.
მე არ ვინაღვლი, რომ ასე მოვკვდე
ყველასგან მწირად,— არ მიგდონ ყური,
ოღონდ რომ მერე საფლავში მოვჰხვდე
მამულის-შვილი და ნამსახური.
მაშინ..... ობოლი აღარ ვიქნები
კეთილის დედის მიმზრდელი შვილი;
მაშინ მიძმობენ მე ჩემი ძმები
და შემითვისებს ერი ღმობილი.

ნ. ღ.

14 აგვისტოს. 1874 წ.

# მგზავრის შენიშვნები.

(დასასრული *)

აგერ მივედით ხერთვისთან, სადაც ორი მდინარე: არტაჰანისა და პირველშობილი მტკვარი ერთდებიან. ციხე, მაღალ და მაგარ კლდეზედ ნაშენი, ამაყათ გადმოჰყურებს მთის ფერდზედ ნაშენს სახლებს. ხერთვისის მცხოვრებლებიც თათრები არიან, აქვსთ ბაზარი, მადრესე, სასოფლო მმართველობა. ხერთვისი ითვლება დაბათ; აქვს ბაღ-ბაღჩები. იმისი შაჰ-ალმა-ვაშლი, ჭანჭური და ვაშლი ნაქებია.

რამდენს ახალგაზდა «მოდნის» ქალს უნატვრია, რომ ჰქონდეს იმისთანა ლოყები—ისე წითელი და მსუქან-ტკბილი, როგორც ხერთვისის შაჰ-ალმა, იმდენი სიცოცხლე მე და შენ, ჩემო მკითხველო!

როცა შევედით შადრევანის ვიწრო ხევში, ხერთვისი დარჩა მარჯვენა მხარეზე. აი აქ წარმოგვიდგა ის ხევი, რომელიც ზევით აღვწერეთ.

საათის ორზედ მივედით უკანასკნელ სტანციაში. რადგან ჩვენ ბედზე აქ არც ცხენები იყო და არც ცხენების მრეკელი, მისთვის აქ დავრჩით ორი საათი. დავადგმევინეთ სამოვარი და გარედ გაშლილ ნაბადზე შევექეცით გულის მანუგეშებლის ჩაით.

იქ დაგვხვდა ერთი არტაჰანელი თათარი. გამოვკითხე არტაჰანის გარემოება იმ დღიდგან, რაც ის გაბედნიერდა. ჩემი მობაასე ემადრიელებოდა თავის აწ მდგომ ბედს და ემდურებოდა ახალქალაქელ ბაშიბოზუყ-სომხებს. თურმე, როცა ჩვენმა ჯარებმა აიღეს არტაჰანი და როცა მცხოვრებლები გაჰყვნენ გაქცეულს თათრის ჯარს, მაშინ დაუხვდნენ ეს პატიოსანი პირები და გაჰსცარცვეს, რამდენიც შეეძლოთ და რამდენსაც ნებას აძლევდა სინიდისი. ურმებით და ზურგით ბევრი ზიდეს თურმე საქონელი. იმათ უსინიდისობას საზღვარი არა ჰქონდათ და თავისი ბასსი ამით გაათავა: იმ ვაი-ვაგლახში, თურმე ერთი თათრის ახალგაზდა დედა-კაცი ძუძუზედ ყმაწვილით მორბოდა ხიდზედათ, დაინახა ვიღაც სომეხი, იქ ხიდზე მდგომი და სთხოვა, რომ ეს ყმაწვილი შემინახე ღვთის მადლისათვისაო. რომ მიაწოდა, სომეხმა გამოართვა ყმაწვილი და შესანახავად წყალს მიაბარა. საწყალმა გამწარებულმა დე-

*) „ივერია“ № 24, 1878 წ.

დამ ვერ გაუძლო სიმწარეს და თან გადაჰყვა საყვარელს შვილს და დაიხრჩო წყალში თავით.

მოთმინებიდამ რომ გამოვედით, ჩემმა «ჩინიანმა» სტანციის უფროს დაუბრიალა თვალები, დაუბრაგუნა ფეხები თუ არა, მაშინვე საიდანღაც გაჩნდნენ ცხენები. ურემი შეაბეს და გავქანეთ. გზა უფრო და უფრო ტალახიანი იყო. ერთი საათის სავალი სამ საათზე გავიარეთ. კარგა დაბინდდა, რომ მივედით ახალქალაქს.

ახალქალაქში მისვლამდე ბევრი ტალახის ტბები გავიარეთ, ჩვენი ურემი ღერძებამდი ითვლებოდა ტალახში და ზანტ იხვისავით ცურავდა. ეს გზა სამი წელიწადია, თუ არ ვცდები, კეთდებოდა და ვერ გაკეთდა. აქ გზაზე შეგვხვდნენ ურმები, რომლებსაც მიჰქონდათ ჯარის ბარგი ახალქალაქისკენ. ერთ ურემში შევნიშნე ვიღაც თავ-პირ შეხვეული გლეხი და არ ვიცი, რა გრძნობამ ძალა დამატანა, რომ ვკითხე:

— ძმაო მეთქი, რათა გაქვს თავ-პირი შეხვეული?

— ღმერთმა ჰკითხოს, ვინც ასე გამხადა, შენი ჭირიმე! არ ვიცით, რა უნდა გასდეს ჩვენი ჰალი: შეწუხებაც ჩვენთვის უფილა და ცემა-ტყეპაც, მიპასუხა გლეხმა ნაღვლიანათ და მაჩვენა ცემისაგან გალურჯებული მკლავი.

— რას გერჩოდა, შე საწყალო?... ვინ გცემა?

— ჩინოვნიკმა შენი ჭირიმე. იმისთვის მცემა, რომ იქედამ ბარგი არ მომქონდა. აქედამ რომ წავიდეთ, იქიდამაც ძალას გვატანდა წამოღებისათვის. მე პირ-და-პირობა უყავი, მე კანონი ვიცოდი, რომ ჩვენი ვალი აღარ იყო, და იმისათვის ასე გამხადა. ბრალი რომ მქონოდა, მაინც არ ვისაღვლიდი, შენი ჭირიმე. ვიღაც შავწვერიანი — შავი ყამი იყო, რადგან აქაურ მეურმეებისაგან ცოტა ჯიბეს ივსებს, ჩვენ ასე გვაწვალებს ის უსამართლო. სამართალი სადღაა! მერე, შენ რომ იმისი გინება გაგეგონა, თითებს ყურებში დაიცობდი. დას, დედას და ცოლს როდი კადრულობდა: სულ რჯულს პირით იხსენებდა, ის ოჯახ დაქცეული....

აფერუმ, ნიკორიანო ბაშიბოზუკებო! გგონიათ თქვენი სინიდისი ნაყიდია. ისარგებლეთ სანამ ბედი თქვენ სელშია! სინიდისს რას დაეძებთ, სინიდისის კოლოფი თქვენი საკუთარი ჯიბეა...

სახელი და გვარი ამ სამაგალითო ჩინოვნიკისა გლეხმა მითხრა, მაგრამ საუბედუროდ დამავიწყდა. მგონია, ამის მგზავსი რაღაც უნდა იყოს: ან კომლიევი ნაკვლიევი, ან არა და კივლიევი. რა მნიშვნელობა, რა მალანბარაგიც გინდა იყოს—კაი კაცი კი ყოფილა ეს!..

მზე ნახევრად მიფარებული იყო მთებს, როცა შევედით ახალქალაქში. ახალქალაქი ვეღარ ვიცანი. ჭადრომინასები, პარუნ პოლოსები, ხომ სულ ნუღარ იტყვით.... ის პატარა ახალქალაქი აღარ არის, სახლებიც გაშენებულან ქალაქი გადიდებულა, მაზრობაც ჰქონიათ, რა ვიცი რა არ მოხდენილა!

ერთ დროს ერთის მოქრთამე მმართველს ახალქალაქისათვის ოქროს ქალაქი დაურქმევია, რადგან ისე ჯიბე გაატენა, მაგრამ მე ისე აღტაცებაში შემიყვანა, რომ გადავანათლე და დავარქვი ახალი პარიჟი ტალახის ტბებიანის ქუჩებით და წითელ ფართუკიანის სომხის მშვენიერის ქალებით. ახალქალაქში სულ პროცენტ ობერიანცები ცხოვრობენ...

ახალქალაქს ჰყავს შვიდასი მცხოვრები—სულ აზრუმიდამ გადმოსახლებული სომხები. არიან ზოგიერთი ქართველები და ახლად ახალციხიდამ გადმოსახლებული ურიები. რაც ახლა არის იმისი მესამედი არ იყო ამ ხუთის წლის წინათ, ბევრნი გადმოსახლდნენ ზოგი სოფლიდგან, ზოგი ახალციხიდამ.

ახალქალაქის მაზრა შესდგება ახლა ას-ცამეტი სოფლისაგან. იმათში ათი სოფელი ქართველია, როგორც მიამბეს, შვიდი ფრანგი, ოთხი ველური ქართველ-ფრანგები; 27 თათრები—იმათში ათი სოფელი ქურთები, ხუთი თარაქამები და შვიდი ლუხბორები, ხუთი კი ისე თათრები. შიგ ახალქალაქში არის სამი სასწავლებელი — ერთი ორ-კლასიანი სამაზრო, ერთი საქალებო და ერთი სახალხო. ქართველებს სოფლებში აქვსთ სამი სასწავლებელი, სომხებს—ერთ ნახევარი.

შარშანდელი რუსული ალმანახი (1877 წ.) რომ გადმოშალოთ, სასიამოვნოთ წაიკითხავთ: ახალქალაქის მაზრაში 30 სასწავლებელია. მტყუანს!.... აი ამით ღუპავენ სულიერი მამები ხალხს. წლის თავზე ისინი გაუწითლებლივ, სინიდისის დაუკითხავათ აჭრელებენ ტყუილ სიებს, გზავნიან კუთვნილებისა მებრ და იმით ატყუილებენ ქვეყანას. კმარა, კმარა, ღმერთმანი! დროა თვალებზე ხელი მოვისვათ!...

ველური ფრანგების ორ სოფელში ბ. და კარ. ახლა აკეთებენ სასწავლებლებს. მშვენიერად ამოუყვანიათ

სასწავლებლების კედლები წითელის ქვით, ორივე ერთ გეგმაზეა (პლანზე) ნაშენი. შკოლისათვის არის დანიშნული დიდი ოთხ ფანჯრიანი წითელ ქვით ნაშენი ოთახი, სამზარეულო და მასწავლებლისათვის ოთახი სხვაა. დაგვირგვინდი შრომავ გლეხებისავ!... ზავ....სა ჯერ მზათ არ არის კედლების გარდა, მაგრამ კარი კი მზად არის, მხოლოდ შაგირდების მაგიერად ჯერ სწავლობენ პურით სავსე ტომრები, რომლებიც ეკუთვნიან იქაურ მამა მღვდელსა. ეს მამა მღვდელი თავის თანამდებობას გარდა სახორციელო საქმეშიც ძალიან მამაცია. როგორც ბეჯითად პოდრიადჩიკობს, ისე ბეჯითად და ერთგულად რომ მარხავდეს მკვდარსა, ვინც გინდ იყოს, უეჭველად სასუფეველში წავიდოდა...

ახლა წარმოიდგინეთ, ეს რა ადვილი და სწრაფი სახსარია განათლების გავრცელებისათვის, რომელსაც ხმარობს ეს მამა მღვდელი. ვსთქვათ, ეს პურის საცალოები ისწავლიან უეჭველად—შიგ პური ხომ განათლდება. მერე ვინც შეჭამს უეჭველად და უმიზეზოთ ბრძენი გამოვა. ადვილი, ბრძნული და სწრაფი სახსარია—მეტი გნებავთ, უფალნო განათლების მოყვარენო?!...

ახალქალაქის გლეხები არ არიან ისე შეწუხებულნი, შევიწროებულნი მზა-ყლაპიებისაგან, როგორც სხვაგან. მართალია აქაც ბევრი ნაწილი მიწისა საბატონოა, მაგრამ ისინი სარგებლობენ თავისუფლად—ბატონის წყალობა ხომ არ უკლიათ.... მომეტებულად არიან შეწუხებულნი ველური ფრანგები. ოთხ-კუთხით არიან ისინი შევიწროებულნი: ერთის მხრით სომხები, მეორე მხრით თათრის ბატონები. სადაც წავიდეს კაცი სომხებს ხომ ვერ ასცილდება!

ფრანგები ცხოვრობენ სახელმწიფო მამულებზედ. არ ვიცი რომელ რიცხვში იყო, რომ მოვიდა მიწის მზომელი მიჯნების გასარკვევლად. რასაკვირველია, მდიდარ ბატონებმა თავის დროზე თავს მოუარეს. რამდენიც მებატონე უხვად იქცეოდა, იმდენი მებატონეების მამულები იზდებოდა.... შუაზე კი საწყალობელი გლეხი დაიხავრა...

ოჰ, რა ბევრი ხანი გავჩერდი! ლაპარაკმა ამიყოლია, ის კი დამავიწყდა, რომ მე სოფელში ვარ წასასვლელი, რადგან ჩემი სამშობლო სოფელი ცოტა ახალქალაქიდამ შორს არის.

დავემშვიდობე ახალქალაქს, ჩემს ჩინიანს, სამ ცხენიანს რუსულ ურემს და აგერ ერთს ცხენზედ გადავჯექ და მივდივარ სოფელში.

რა ნაირად კაცს უცემს და უძგერის გული, როცა დიდის ხნის მოშორებული პირველად ფეხს ადგამს იმ მიწას, სადაც იმას გაუტარებია თავისი სიყრმე, ის ბედნიერი ჟამი სიცოცხლისა, რომელიც ყველაზე უძვირფასესია!

მე მიხაროდა. გულიც ჩემს სიხარულს ბანს აძლევდა. მაგრამ თოვლით მოსავალი აბულის მთა, და დაობლებული ამირანთ მთა (ახლა ტაშლი თაფა) და ის ჭალა-მინდვრები, სადაც მე ათის წლის წინ უზრუნველად ვცელქობდი, რად ც უცნაურის და საიდუმლო სანდურავით მიყურებდნენ—გეგონება გეუბნებიან: წადი, შენ აღარ გიცნობთ—შენ სულ გამოცვლილ ხარ; ერთგულს და საყვარელს განა ეგრე უნდა უღალატო?!...

ორი საათის შემდეგ მე ვიჯექი ერთ ღარიბის გლეხის სახლში.

ბევრი რამე დამრჩა სათქმელი—ბევრისაც თქმა ვერ შევიძელი, რადგან პირი წყლით სავსეა.....

15 მაისს 1878 წ. ს. ბავრელი.

ს. სურამი.

---

## ურწმუნო დიეგო

ერთი ხანა კარლისტების აჯანყებისა.

(თარგმანი)

### I.

აპრილის მშვენიერი საღამო იყო. ვიწრო ქუჩები ძველი სან-ამარ-დელოს-დებლანოს ქალაქისა აქა-იქ ბოძებზე ჩამოკიდებულ ფანრებით ძლივს იყო განათებული; პოლიციის მოხელენი ქუჩებში იმდენნი იყვნენ, რამდენსაც კი საჭიროებდა გარეგანი წესიერება და რიგი. ურმების ჭრიალი და იმათი ხათქა-ხუთქი უსწორ-მასწორო ქუჩებზე და გამვლელ-გამომვლელის შხირი ბორძიკი ცხადად ამტკიცებდნენ ამ ქალაქის მმართველების ღვთის მოყვარეობას, რადგანაც სასულიერო საქმეებს უფრო ყურს უგდებდნენ, მაგალითად, როგორც ეკლესიების

მორთვას და სარების შინდილს, მანამ ამ გვარს წუთისოფლიურ წვრილმანობას, როგორნათაც ქუჩების გასწორება და იმათი განათება. ექვს საათზე დარეკა ზარი და გამოვიდა მრავალი მუშა, ახლად გასხსნილის მაშინების ქარხნიდგან. ამ მუშებში ერივნენ ისპანიელებიც, მაგრამ ამათში უფრო ბევრი ფრანციელნი და ინგლისელნი იყვნენ. ნახევარ საათის განმავლობაში, როდესაც ქუჩამ ისევ თავისებური დაღონებული და მუდროების სახე მიიღო, ამავე ქარხნის კანტორის კარებიდგან გამოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი გქლის წამოსასხმლით, რომლის ქვეშაც რაღაც ეჭირა—უფრო რო გიტარა იყო.

ეს იყო ლამაზი ოცდა ორის წლის ყმაწვილი კაცი, დიეგო გერლა. ეს იყო დამაარსებელი და პატრონი ხსენებულის მაშანის ქარხნისა. რაც კი თავის სიყმაწვილეს შეეხებოდა დიეგომ ბევრი იმოგზაურა და ბოლოს გული დაარწმუნა, რომ ისპანია არ იყო პირველი ქვეყანა ხმელთზე, როგორც აქომამდინ იმას ჰსწამდა. როდესაც კაცი ამ გვარ გადაწყვეტილებაზე დადგება, თუ უნდა იმას მოსვენებით ცხოვრება თავის ქვეყანაში, ეს აზრი თავისთვის გუნებაში უნდა დაიმარხოს; და ამ გვარადაც მოიქცა დიეგო გერლა. მაგრამ, რადგანაც ეს იყო ჭეშმარიტი მამულის-შვილი, თავისის ქვეყნის მოყვარე და იმ სურვილით სავსე, რომ ხელი შეუწყოს თავისის ქვეყნის განკარგებას, განათლებას და გამდიდრებას, ამ ყმაწვილმა კაცმა თავის გამოცდილება და თავის სიმდიდრე მოახმარა მაშინის ქარხნის გამართვას თავის მშობელ ქალაქში. ისპანიას ძრიელ ნაკლებათა აქვს ამ გვარი ქარხნები და მაშინები სულ საფრანგეთიდამ და ინგლისიდამ მოსდის. ამისგულისათვის დიეგომ იფიქრა ქარხნის გამართვა; ამათი იმას იმედი ჰქონდა, დიდი შვება მიეცემა ჩემს მამამულეებსაო. ეს განზრახვა ჭეშმარიტი იყო, მაგრამ ჩვეულებისა მებრ ამ ყმაწვილს კაცს ბევრი მტრები გაუჩნდნენ. მთელის ქალაქის მმართველობა დაწყობილი ალკალიდგან (ქალაქის უფროსი) ავას თვალით უყურებდნენ დიეგოს. ამიტომ რომ იმანა აშენა თავისი ქარხანა იმისთანა თავისუფალ ადგილს, რომელიც დიდის ხნის ცარიელობისა გამო, იმათის აზრით, საუკუნოდ ცარიელი უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა თვით ქარხნის აშენება ძრიელ გასაბედავ და ლიბერალურ ახალ საქმეთ ეჩვენათ. დაბალი ხალხი იმითი არ იყო დიეგოს მადრიელი, რომ იმას მრავლობით უცხო ქვეყნის მუშები ჰყავდა, რადგანაც ისპანიელები ჯერ ამ საქმეში დახელოვნებულები არ იყვნენ. ბოლოს კიდევ დიეგოს აუტყდა სამღვდელოება იმ მიზეზით, რომ მრავლობით მუშები პროტესტანტები იყვნენ და დიეგო ცდილობდა იმათთვის თავის ქარხანასთან ეკკლესია და შკოლა აეშენებინა. იმათის ფიქრით ურწმუნოების სწავლება, გარდა იმისი, რასაც წმინდა კათოლიკე ეკკლესიის მღვდლები ქადაგებდნენ, რასაკვირველია თვით ეშმაკებისგან ჩანერგული აზრი იყო და ამ აზრზე ყველა ჯვართმადლიდებულნი კათოლიკენი, რასაკვირველია, მღვდლებს ეთანხმებოდნენ.

მაგრამ დიეგო გერლა სრულიად ყურს არ უგდებდა, თუ იმაზედ სხვები რას ფიქრობდნენ; ის მარტო საჭიროდ ხადდა, რომ თავის საკუთარს სვინიდისს გაერჩია მისივე საქმეები. ამას უყვარდა თავის ქარხანა და ადელინა ფიერო და სხვა ქვეყნიერებასთან ამას საქმე არა ჰქონდა. ადელინა ფიერო იყო ერთი პატიოსანი ქვრივის ქალი. ამის მამა აფიცერი იყო და 1836-დგან 1860-მდინ კი რაც ომები იყო ისპანიაში, ის სუყველაში ერია და სუყოველთვის ისპანიის კოროლების მხარე ეჭირა. ამან დაუგდო თავის ცოლშვილს პატიოსანი სახელი და რიგიანი ქონება. ფიეროს სახლობა პატივცემული იყო ყველასგან ქალაქში, და ამიტომ დიეგო ბედნიერად რაცხდა ჯერ მას რომ ამათი ნაცნობია და, მეტადრე მას, რომ ეს იყო ამ სახლში ისე მიღებული, როგორც ნამდვილი ადელინას თაყვანის მცემელი და ტრფიალი. კვირაში სამჯერ ბინდზე, ისპანიის ჩვეულებისა მებრ, ეს მოვიდოდა ხოლმე ადელინას ფანჯრებ-ქვეშ სერენადის სათქმელად, ესე იგი, რამდენსამე წამს დაუკრავდა გიტარას, უგალობდა რაიმე სიმღერას, ერთ თხუთმეტ წამს ებაასებოდა ადელინას, რომელიც ფანჯარაში გადმოდგებოდა ხოლმე და შემდეგ ამ ჩვეულების ასრულებასა, როგორც ეკუთვნის პატიოსანს კაცს და კარგს ნაცნობს, დარეკამდა ხოლმე კარების ზარს და დანარჩენ საღამოსაც გაატარებდა ადელინას, იმის დედის და სხვა ამათ კეთილ-ნაცნობების საზოგადოებაში. ერთი ამისთანა საღამო იყო, როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ დიეგო გამოვიდა თავის კანტორის კარებიდგან გიტარით.

ეს წავიდა სწორე ქუჩაზე თავისის ქარხნის გასწვრივ და, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ იმან ქუდი არ მოიხადა წმ. დომინიკის ხიშთან და ამითი არ აასრულა ის ჩვეულება, რომელიც დადებულია ყველა ჯვართ

მადიდებელისაგან და მომეტებულად იმ გვამთაგან, რომელნიც სულის ცხონებას შეჰსდგომიან. ეს კიდევ არაფერი, იმან მოწყალების მაგივრად, გლახას, რომელიც ამ ნიშთან დაჩოქილი იდგა, უთხრა: „მანდ მთელი დღე ჩოქით დგომას არ გირჩევნია მუშაობით მოიპოვო ერთი ლუკმა პური.“ ეს მთხოვარამ, რასაკვირველია, არ დაუჯერა, რადგანაც გამოცდილებით იცოდა, რომ აქ ჩოქით დგომა და გულკეთილებისაგან გროშების თხოვნა უფრო ადვილი შრომა იყო, მინამ მუშაობა. დონ-დიეგო მიდიოდა და სიარულში ბევრჯელ წამოჰკრა ფეხი და ხმა მაღლა ჯავრობდა ცუდად მოკირწყლულ ქუჩებზე. ბოლოს გავიდა უფრო განიერ და ლამაზ ქუჩაზედ, სადაც ორგან, სამგან მიჯნურნი სერენადებს ეუბნებოდნენ თავის საყვარლებსა.

დიეგო გერლა ადელინას ფანჯრის ქვეშ დადგა და დაიწყო ერთი რაღაც ძველისა და მხიარულის ბალადის მღერა. პირველი ხანის გათავების დროს ადელინამ გააღო ფანჯარა ქვემო სართულისა და გამოდგა ფანჯრის რკინის ჩარჩოებს შუა; ეს მთლათ შავებში იყო ჩაცმული; მშვენიერ შავ თმებში ერჭო ლამაზი ვარდი და ხელში ეჭირა მარაო, ეს განუყრელი სამკაული ყოველის ისპანიელის ქალისა.

— საღამო მშვიდობისა, დიეგო, უთხრა ადელინამ.

— საღამო მშვიდობისა, ჩემო მშვენიერო, უპასუხა დიეგომ, გადაიგდო გიტარა მხარზედ, მოიხადა ქუდი და ხელით კოცნა გაუგზავნა: — თქვენ მიხვდით, რომ ჩემთვის რამდენიმე წამით ადრე თქვენი ნახვა უფრო სასიხარულოა, ვიდრე ამ ლექსის დასრულება, რომლითაც ძველად ხალხს გამოუთქვამს სიყვარული.

— ოხ! დიეგო! ჰსთქვა ადელინამ, მძიმეთ ამოიოხრა და თავი გაიქნია: — მე მინდა თქვენ ძრიელ უსიამოვნო ამბავი გითხრათ!

— უსიამოვნო ამბავი! შეჰყვირა დიეგომ და ხმა შეეცვალა: — თქვენ ხომ კარგათა ხართ?

— მე კარგათა ვარ, ჰსთქვა ადელინამ: — მაგრამ ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა ავად-მყოფობა, თუ კი ამითი შეიძლებოდა შეცვლა ჩვენის პატრის მალალიას ცუდი აზრი თქვენზედ. იმის სიტყვებმა ლამის ჭკვიდამ შემშალონ.

— თუ თქვენ კარგათა ხართ, ჩემო საყვარელო, სუყველა კარგათ იქნება; და რაც პატერ-მალალიას შეეხება.... აქ დიეგომ ისეთი მაგარი ბასკიური სიტყვა უძღვნა ამ წმინდა სან-ამარ-დელოს-დებლანოს ეკკლესიის მსახურს, რომ არა მგონია მისთვის სასიამოვნო ყოფილიყოს.

ადელინამ ამაზე პირჯვარი გადიწერა. ადელინა როგორც რიგიანი ყმაწვილი ქალი, პატივს ჰსცემდა სუყველა სამღვდელოებას და პატერ მალალიას ხომ რასაკვირველი, უმეტესად.

— მაგაზედ ეგრე მსუბუქად ნუ ლაპარაკობთ, დიეგო, უთხრა ადელინამ დაღონებით და ცრემლები მოიწმინდა: ის ყოველ საღამოზე დაიარება ჩვენსა და, როცა თქვენ აქ არა ხართ, ურწმუნოს გეძახით და ამბობს რომ...

— რას ამბობს?

ადელინამ გამოიხედა ფანჯრიდგან და ჩურჩულით უთხრა:

— ჩვენ სრულებით მარტონი ვართ, დიეგო, თუ არა?

— მოშორებით ორი თუ სამი მიჯნური სერენადებს უბნებიან თავის ტრფიალთა, უპასუხა დიეგომ: მაგრამ ისინი ჩვენსას ვერას გაიგონებენ; მე, მგონია, როდესაც თქვენ გელაპარაკებით, ყურშიაც რომ ჩამძახოს ვინმემ, ისიც ვერ გავიგონო. მაშ მითხარით რა ამბავია?

— თქვენ არავის არ შეატყობინოთ, მე რასაც გეტყვით, წაიტუტუნა ადელინამ, პირით მიეყუდა ფანჯრის რკინის ჩარჩოებს და შიშნეულობით დაუწყო ყმაწვილს კაცს ყურება: რასაც გეტყვი, ისეთი საშინელებაა, რომ მთელი ღამე ტირილით გავათენე. ჰო, დიეგო, პატერი მალალიასი ამბობს, კიდევ მალე იქნება კარლისტების არეულობაო.

აქ ადელინა შესდგა და გაკვირვებით დაუწყო დიეგოს ყურება, თუ რას წარმოადგენდა იმის სახე, მაგრამ დიეგო სრულიადაც არ შემკრთალა. ადელინამ განაგრძელა: დიახ... მამა მალალიასი ამბობს, რომ თქვენ, დიეგო, მიიღებთ ამელისტების მხარეს და არა კარლისტებისას..... და როდესაც კარლისტები გაიმარჯვებენ, რომელიც აუცილებელია, თქვენ მაშინ გაქცევა დაგჭირდებათ... თქვენც და ბევრს სხვებსაც, ვინც კი ქრისტეს სარწმუ-

ნოების წინააღმდეგნი არიან. მითხარით, დიეგო, იმისთანა რა უთხრა მამა მალალიასს, რომ ეგრე ჩამოგეკიდათ? ოჰ, დიეგო! მომეცით პირობა, რომ არ ეწინააღმდეგებით, აღარ გეებაასებით პატრ მალალიასს; რომ არ იქნებით ურწმუნო და ხალხს არ მისცემთ ნებას თქვენზედ ურიგოთ ლაპარაკისას!

ამ სიტყვებზე ადელინამ იქით გადიგდო თავისი მარაო, გულზე ხელები დაიკრიფა და მუდარებით დაუწყო ყმაწვილ-კაცს ყურება, თვალებიდგან მდუღარება სცვიოდა და დიეგო ძრიელ ჰსწუხდა, რომ ამ წამში იმას არ შეეძლო ადელინა თავის გულზე მიეკრა და ცხარის კოცნით გაეშრო იმის მშვენიერი თვალები.

— რაც განცხადებაში (აპოკალიპსისი) მოჩვენებაა, სულ მოეჩვენოს და ნუ მიჰსცეს მოსვენება ამაღამ პატრ მალალიასს! შეჰყვირა დიეგომ გაჯავრებით:—ეს მოუსვენარი პატრი ყოველთვის აღვიძებს ბოროტებას და უბედურობას. ეგა და ეპისკოპოსი სწორედ იმ საზოგადოებისანი არიან, რომელმაც მთელის ხუთასის წლის განმავალობაში ასე დაამცირეს ისპანია და რომელნიც ეხლაც არ გვანებებენ თავს. იცოდეთ, ადელაინავ, თუ ვინიცობაა მალალიასი გადავა კარლისტების მხარეს და ჩამივარდება ხელში, გეფიცებით, შემდეგში ის ვეღარ ილაპარაკებს მაგისთანა საძაგლობას, ვერც ჩემზედ და ველარც სხვაზე.

— აი მეც მაგისი მეშინიან! შიშით შეჰყვირა ადელინამ და მწარედ ქვითქვითს მოჰყვა.

დიეგო სიბრაზით ტუჩებს იკვნეტდა და ფეხებზე ძლივსღა იდგა. გულში მუქარას უთვლიდა განა თუ მარტო მამა მალალიასს, თითქმის მთელ ისპანის სამღვდელოებას.

— როგორ გჯერათ მაგისთანა საგანზე ლაპარაკი იმ უკბილო მატყუარასაგან! მოუთმენლად წამოიძახა დიეგომ;—ის მე ურწმუნოს იმისათვის მეძახის, რომ მე იმ აზრის ვარ, რომ ღვდელმა მარტო ეკკლესიაზე უნდა იზრუნოს, ისე როგორც მე ჩემ მაშინებზე ვზრუნავ, და დანარჩენს სოფლიურს საქმეს კი თავი უნდა დაანებოს. ხედავთ თუ რა გამოდის იქიდგან, როდესაც კაცი სხვის საქმეში ერევა. იმ ბებერ-ლაქლაქას მოწყალებით თქვენი თვალები დაწითლებულნი არიან და მე ხელები ისე მექავება, რომ მინდა ამ საათში მივახრჩო ვინმე. ვიშ, რა მშვენიერი საქციელი ეკკლესიის მსახურისაგან.

— თქვენ არ გესმისთ, თუ რა წარმოსდგება მაგ ჭორებიდგან, სთქვა ადელინამ ისევ ტირილით: თქვენ მაგას მსუბუქად უყურებთ, დიეგო, მაგრამ ის კი არ იცით თუ დედა ჩემს რა რიგათ აწუხებენ მაგგვარი აზრები თქვენზე. ცოტა კიდევ და მე დარწმუნებული ვარ, რომ დედა ჩვენს ქორწინებაზე უარს იტყვის.

— მამა თქვენი ხომ კარლისტი არ იყო, გაკვირვებით შენიშნა დიეგომ:—მამა თქვენი ყოველთვის იმათ ებრძოდა და იმასაც ისე უყვარდა თავისუფლება, როგორათაც მე მიყვარს და მეყვარება კიდეც სიკვდილამდის, ჩემო საყვარელო!

— დედა ჩემი ფრანგია, დამჯდარის გონებით უპასუხა ადელინამ: ის ისე ჰფიქრობს და მასთან მღვდლები და ეპისკოპოსიც, რომ ამედეი იმ კაცის შვილია, რომელიც ეკკლესიისგან შეჩვენებულია, და რომელიც ჩვენს წმინდა პაპას მტრობს! მეც ამ აზრისა ვარ, დიეგო, და ტირილი ვერ შევიმაგრე, როდესაც მამა მალალიასი გვიამბობდა, რომ პაპი დამწყვდეული ჰყავთ და არც საცხოვრებელს არ აძლევენო. მე რაც მომექონებოდა სულ პატრს მივეც, რომ რომში გაეგზავნა. ოჰ, დიეგო, ნუ იქნებით იმათ მხარეზე. დაითხოვეთ თქვენი ურწმუნო მუშები, რომელნიც საფრანგეთიდგან მოვიდნენ; იქ ეგენი თავიანთ არხიეპისკოპოსებს ჰხოცვენ და ინგლისში ხომ არავითარი სარწმუნოება არ არის. თუ კარლი VII მობრუნდა ისპანიაში, აბა იფიქრეთ, რა მდგომარეობაში ვიქნები მე, როდესაც ის თქვენ დასასჯელათ დაგედევნებათ? მე მოვჰკვდები კიდეც, დიეგო! ისიც იფიქრეთ, რომ თუ თქვენ იბრძოლებთ ამედეისათვის, რომელიც ეკკლესიისგან გადაყენებულია, თქვენი სული ჩავარდება ათასის წლით ჯოჯოხეთში, სადაც ჩვენ ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს, თუ გინდ რომ დიდი მამაკვდინებელი ცოდოც მოვიხდინო რამე თქვენთან შეყრისათვის! ყოველივე ეს შეგიძლიანთ თავიდგან აიშოროთ! მხოლოდ გაგვიგონე მე და მალალიას. დაფიქრდით ყოველს ამაზედ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო დიეგო, დაფიქრდით თუ თქვენთვის არა, ჩემთვის მაინც! ხომ გიყვარვარ, განა? ისიც ვიცი, რომ თქვენთვის სასურველი არ არის, რომ მე თქვენის მიზეზით თავი მოვიკლა.......?

კაცს, რომელიც ამ გვარ ხვეწნას საყვარელის ქალისას გაუმაგრდება, ის სწორედ ქვა არის. დიეგო არ იყო ქვის პატეხი, იმის თვალად ცივ-სახის ქვეშ დაფარული იყო

გული, რომელშიაც ისეთი სისხლი ტრიალებდა, როგორც მდუღარება. ის ამისთანა კაცი იყო, რომ არც თავის სიცოცხლეს, არც სხვისას არ დაზოგავდა მისთვის, რომ ადელინას გული დაემშვიდებინა. ამის გამო დაუწყო ადელინას ხვეწნა დამშვიდებულიყო და მისცა პირობა ყოველის იმის სურვილის ასრულებისა; შეურიგდები მალალიასს და ვეცდები კიდეც შევიყვარო ეს პატივცემული კაციო. რასაკვირველია, იმედი ჰქონდა, რომ თავის დროზედ ადელინას აზრს ამ საგანზედ შეაცვლევინებო; ეხლა კი ამის სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ შეეშრო ადელინას ცრემლები და კიდეც აუსრულდა ეს სურვილი. ადელინამ მოიწმინდა თავისი მშვენიერი თვალები, გაიმეორა, რო ამ წამამდინ ის უბედური იყო, შემდეგ დიეგოს სიხარულის ღიმილით და ჰკითხა, როგორ გაატარე დღევანდელი დღეო. დიეგომ დაწვრილებით უამბო, რაც კი ემოქმედნა იმ დღეს მზის ამოსვლიდგან დასვლამდე, სხვათა შორის ისიც გაუხსენა, რომ ამას შეუკვეთეს ორი მაშინის გაკეთება ერთი ბარსელონიდგან და ერთი ბილბაოდგან. იმაზე კი აღარა გაუხსენა რა, თუ რა რიგად მოიქცა ეპისკოპოსი მელსარანდა, რომელმაც მისწერა უკანასკნელის მაშინის შემკვეთს, რომ დიეგოს მაშინები გამოუსადეგნი არიანო, ამიტომ რომ ისინი დაწყევლილნი არიანო. ადელინამ უთხრა, რომ ამას არ უყვარს მაშინები, ამიტომ რომ იმათში ზეთს ასხამენო და ურწმუნოების მოგონილნი არიანო, მაგრამ რო დაინახა შეჭმუხვნილი წარბები ყმაწვილის კაცისა, სწრაფად წამოხტა, გამოიღო წითელი ვარდი, რომელიც ამშვენებდა მის მშვენიერ თმებს და ფანჯრიდგან გადაუგდო. დიეგომ აიღო ვარდი, მიიკრა ტუჩებზე, მერე სერთუკის კილოში გაირჭო და ადელინას ხელით კოცნა გაუგზავნა.

— თქვენ მალე გვნახავთ, დიეგო? ჰკითხა ადელინამ.

— ერთის საათის შემდეგ მოვალ, უპასუხა დიეგომ.

— და.....თუ... .მამა მალალიასი იქნება ჩვენსა, თქვენ იმასთანაც ისე პატივისცემით იქნებით, როგორც ჩემთან?

— დიახ, მე იმას ვეტყვი, რომ იმის ხმა ჩემთვის უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ჩანგისა, რომ ერთი იმის დანახვა ჩემს გულს ბედნიერებით ავსებს, რომ მოუთმენლად მოველი იმ წამს, როდესაც გავხდები ღირსი ხელში ავიყვანო ის და წავიყვანო ქვეყნის ბოლოზე, სადაც ვიცხოვრებთ მარტო მე და ის, ყველასაგან მოშორებულნი! საკმაოა თუ არა ამ გვარი სიყვარული, ჩემო სიხარულო?

— თქვენ ნუ დაცინებით კი იმაზედ დიეგო, ღიმილით უთხრა ადელინამ: — იმასთან იყავით კეთილად და პატივცემით და მე თქვენ სხვას არას გთხოვთ. ვაი ღვთის მშობელო! რას ჩასდიხართ?

ეს უკანასკნელი სიტყვები იმიტომ წამოიძახა ადელინამ, რომ დიეგომ საოცარი სიმარდე მოახდინა და ჰსჩანდა, რომ ეს იმისგან პირველი გაბედვა არ იყო. აი როგორ: ფეხის წვერებზე შესდგა, ხელი რკინის ჩარჩოებს წაავლო, აიწია ზევით და მუხლები ფანჯრის ფიცარს მიაკრა.

— ოჰ, დიეგო! რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ მაგ საქმეს ნუ ჰჩასდიხართ მეთქი, — შეჰყვირა ადელინამ, მაგრამ ფანჯრიდგან ჩამოცლის მაგიერათ, რომელსაც კაცი მოელოდა ამის სიტყვების შემდეგ, უფრო მოუახლოვდა ფანჯარას.

დიეგომ შეჰყო ორივ ხელები ფანჯარაში, წყნარად დაუჭირა თავი ყმაწვილ ქალს და აღტაცებით დაუწყო კოცნა.

— ჩემო სიხარულო! ჩემო ანგელოზო! დუდუნებდა დიეგო და თან ჰკოცნიდა მშვენიერ თვალებს: — მე არას დროს არ გავუშვებ თქვენ თავს ხელიდგან, მანამ არ დამიბრუნებ ჩემ კოცნას. ადელინა გაწითლდა როგორც ვარდი, თუმცა ჰსთქვა რომ დიდი ცოდვააო, მაგრამ კოცნით კოცნა გადუხადა. მაშინ დიეგო საჩქაროდ ჩამოხტა ქუჩაზე და ბედნიერების ღიმილით წამოვიდა თავის გზაზედ. რამდენსამე ხანს კიდევ მოისმოდა იმის სიმღერის ხმა, რომელიც ამას წინად შეჰსწყვიტა ადელინას გამოსვლაზე. ფანჯარა მხოლოდ მაშინ მიხურა ყმაწვილმა ქალმა, როდესაც სრულიად მიწყდა დიეგოს ხმა.

გაბაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

## სხვა და სხვა ამბები.

რუსულის გაზეთის «Петербургскія Вѣдомостъ»-ის კორრესპონდენტი იწერება მილანიდამ შემდეგ შემთხვევას გარდაცვალებულის იტალიის კოროლის ვიკტორ-ემმანუელის ცხოვრებიდამ. ერთხელ რუსის იმპერატორი-

ტის მიბმანების გამო რომში, თეატრში დანიშნული იყო საგანგებოდ რაღაც წარმოდგენა. ვიკტორ-ემმანუელი გულმავიწყი კაცი იყო, სულ დაჰვიწყებოდა ეს გარემოება და წასულიყო თეატრში საყოველდღეო ტანისამოსით (პი-ჯაკით). თეატრის შესავალში მოჰგებებოდა ადიუტანტი და მოახსენებია, რომ მისი დიდებულება რუსის იმპე-რატრიცა და პრინცესსა მარგარიტა კიდეც მობძანდნენო და ლოჟაში ბძანდებიანო. ვიკტორ-ემმანუელს ელდა ეცა, ეს რომ შეიტყო. „ოხ, ღმერთო ჩემო, დაიძახა კო-როლმა: რა მეშველება: მე ჩაცმული არა ვარ და ვერ შევალ იმპერატრიცის ლოჟაში, რომ ჩემი პატივის ცემა განვუცხადო. სასახლეში დავბრუნდე და ჩავიცვა ტანისა-მოსი ძალიან დაგვიანდება. ნეტა როგორ მოვახერხო საქმე!“ ამ ლაპარაკით კოროლი თავის ლოჟაში შევიდა. პირველს ოთახში სარკე იყო; რომ ახლო გაუარა, ჩაი-ხედა და გაისინჯა ტანისამოსი. «არ იქა, დაიძახა მან: მე სულ შავები მაცვია, ერთი ფრაკიღა მაკლია, რომ სრულად მორთული ვიქმნე. არ შეიძლება განა აქ ვისმე ფრაკი ვჰსთხოვოთ, ჰკითხა მან ადიუტანტს: ერთი ნა-ხეთ, იქნება ლოჟაში მონახოთ იმისთანა ვინმე, რომ მე ამ გაჭირებიდამ დამიხსნას. ადიუტანტი წავიდა და ერთს სასახლის ლოჟაში ნახა მარკიზი ბანიასკო, შავის ფრა-კით მორთული. ადიუტანტმა მიიწვია კოროლის ლოჟა-ში. რა წამსაც ბანიასკო შევიდა კოროლის ლოჟაში, კო-როლმა მაშინვე ჰსთხოვა ფრაკი მათხოვეთო და თქვენ ჩემი პიჯაკი ჩაიცვითო. მარკიზს თუმცა ძალიან გაუკვირ-და ეს ამბავი, მაგრამ მაშინვე სიხარულით აღასრულა კო-როლის თხოვნა. მოჰყვნენ ტანისამოსის ცვლასა: კო-როლმა მარკიზის ფრაკი ჩაიცვა და თავისი პიჯაკი მარ-კიზს მიჰსცა. ჩაცმ.ს შემდეგ კოროლმა სარკეში თავი გაისინჯა და დაინახა, რომ თეთრი ყელსახვევი აკლია. მარკიზმა თავისი თეთრი ყელსახვევი შეიხსნა და მიართვა. კოროლს ყელსახვევი ვერ ეჩვენა რიგიანად დაუთოებული. მიჰსცა უკანვე ყელსახვევი მარკიზს, იხმო კარებში მდგომი ლაქია როდოლფე მორასკო და უბძანა: „აბა თქვენი ყელსახვევი მაჩვენეთ; მე მგონია თქვენი ყელ-სახვევი უფრო თეთრი და წმინდა, ვიდრე მარკი-ზისა.“ როდოლფომ მოიხსნა ყელსახვევი და მიართვა. „მართლა, დაიძახა ვიკტორ ემმანუელმა: ეს სწორედ უფრო ფაქიზია.» რუდოლფის ყელსახვევი შემოიკრა კოროლმა, როცა მორთვა გაათავა. კოროლი მივიდა სარკესთან, გა-ისწორა თმა და ჰსთქვა: «ეხლა კი შეიძლება, რომ იმპერატ-რიცა ვნახო, იმედი მაქვს, რომ ეხლა სწორედ იტალიის კოროლსა ვგევარ.»

---

სპარსეთის შაჰი ნასრედინი დაიბადა 1829 წელსა, როცა მამა მისი მაჰმად-ხანი სპარსეთის ტახტზედ ავიდა, მაშინ ნასრედინი თავრიზში იყო თავის ლალასთანა, მირ-ზა თაგი-ხანთანა და ადარბეჯანის მმართველად ითვლე-ბოდა. თავისის ლალის მოწყალებით ნასრედინმა პატა-რაობითვე ჩაინერგა რუსეთის პატივისცემა. 1837 წელსა დვინობისთვეში იმპერატორი ნიკოლოოზ პავლეს ძე კავკასიაში მობძანდა. ერივანში მოეგებნენ ხელმწიფე იმპე-რატორს მაჰმად-შაჰის დესპანები, რომელთ შორის მე-ტის პატივისათვის იყო გამოგზავნილი რვა წლის მემკვიდ-რე ნასრედინი. იმპერატორმა ნიკოლოოზ პავლესძემ მიიღო პატარა ნასრედინი ძალიან კარგად, ისე თითქო მახლობელი და ნათესავიაო. „მე და მამაშენი ორივ ხელ-მწიფენი ვართ, უბძანა იმპერატორმა და მუხლზედ და-ისვა პატარა ნასრედინი: და ხელმწიფენი კიდევ ერთმანეთსშორის ძმები არიან, მაშასადამე მე შენი ბი-ძა ვარ.“

ამის შემდეგ იმპერატორმა აჩუქა ყმაწვილს ძვირ-ფასი ბეჭედი, მერე გაუკეთა მხარ-იღლივ ანდრეევის ლენტი, აკოცა და უბძანა: „აი ერთი საჩუქარი კიდევ— აჰა, არ დაივიწყო ბიძა შენი.“

ნასრედინ ყოველთვის სიყვარულით იხსენიებდა ხოლ-მე თავის ბიძას.

ნასრედინ ტახტზედ ავიდა 1848 წ. ოკტომბერში ცოტა არ იყო რომ რუსეთმა ამაში ხელი მოუმართა. მაშინ ის იყო 18 წლისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.